პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1973 წ.
№ 37 (4807)
22 თებერვალი, ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

სსრ კავშირის პირველობა

იმატა საპრიზო ადგილის შანსმა



გუშინწინ კიევში ჩატარდა მორიგი მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სტროიტელი" და თბილისის „დინამო". საინტერესო ბრძოლა თბილისელმა კალათბურთელებმა მოიგეს — 89:80 (37:42).

დინამოელებმა წარმატებით ჩაატარეს ორივე მატჩი კიევში. ამ გამარჯვებებმა ჩვენი გუნდი მჭიდროდ მიუახლოვა საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლ კოლექტივებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მომდევნო შეხვედრებს თბილისელები შინ ჩაატარებენ ძირითად მეტოქეებთან — ლენინგრადის „სპარტაკთან" (25 თებერვალს) და კაუნასის „ჟალგირისთან" (2 მარტს), აშკარა გახდება, თუ რამდენად იზრდება დინამოელთა აქციები ერთ-ერთი საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში.

გუშინ ლენინგრადში, გვიან ღამით დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი: „სპარტაკი" — ცსკა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 თებერვლისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	15	13	2	1324—1091	13
„ჟალგირ."	15	12	3	1152—1056	12
„სპარტ."	14	11	3	1108—1024	11
„დინამო" (თბილისი)	15	10	5	1121—1098	10
„დინამო" (მოსკოვი)	15	8	7	1088—1078	8
„სტროიტ."	14	7	7	999—1002	7
ასკ	15	4	11	947—1023	4
რტი	16	3	13	1134—1262	3
„კალევი"	14	3	11	900—990	3
„ავტომობ."	13	2	11	887—1036	2

უმაღლესი ლიგა

ლიდერებიც ძველია და აუტსაიდერებიც

ტალინის სპორტის სასახლეში გრძელდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ეტაპის მატჩები. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც წარმატებით თამაშობს რიგის ტტტ. მან უკვე სამი შეხვედრა მოიგო: ლენინგრადის „ბურევესტნიკთან" — 70:55, მოსკოვის „სერპ ი მოლოტთან" — 74:54, ვილნიუსის „კიბირკშტისთან" — 78:59. ტტტ დამაჯერებლად ლიდერობს გათამაშებას.

ლიდერს ფეხდაფეხ მიჰყვებიან ლენინგრადისა და მოსკოვის ოლქის სპარტაკელები. ნევისპირელებმაც სამი შეხვედრა მოიგეს: მოსკოველ თანაკლუბელებთან (81:59), ტარტუს უსკ-სთან (80:49) და კიევის „დინამოსთან" (71:49). სატურნირო ცხრილში ზედიზედ 3 ქულა ჩაიწერეს მოსკოვის ოლქის სპარტაკელებმა. მათ ჯერ მოსკოვის „სერპ ი მოლოტი" დაამარცხეს (81:59), მერე სვერდლოვსკის „ურალმაში" (71:59) და, ბოლოს, კაუნასის „პოლიტექნიკა" (64:54).

საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა ძირითადად ამ სამ კოლექტივს შორის მიმდინარეობს. დანარჩენი გუნდები ან „ოქროს შუაგულში" მოსახვედრად იბრძვიან, ან იმისთვის, რომ უმაღლეს ლიგაში დაიბევონ ადგილი.

„საკუთარი კედლები" ვერ შველიან ესტონელ კალათბურთელებს, რომლებიც სატურნირო ცხრილის ერთ-ერთ ბოლო საფეხურზე არიან. ტარტუს უნივერსიტეტის სპორტკლუბმა მეორე ეტაპის სამივე მატჩი დათმო: ვილნიუსის „კიბირკშტისთან" — 68:73, კაუნასის „პოლიტექნიკასთან" — 53:64 და, როგორც უკვე ვთქვით, ლენინგრადის „სპარტაკთან".

ასევე წარუმატებლად თამაშობს ლენინგრადის „ბურევესტნიკი", თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მას სტარტზე ძლიერ მეტოქეებთან მოუხდა ჭიდილი. ტტტ-სთან ლენინგრადელთა წაგება ასე თუ ისე გასაგებია. კიევის „დინამოსთან" შეხვედრაში გამარჯვებისთვის მათ ერთი ზუსტი სროლა არ ეყოთ: უკრაინის დედაქალაქის დინამოელებმა ეს დაძაბული და დრამატული ორთაბრძოლა მინიმალური სხვაობით მოიგეს — 66:65. ნევისპირელებმა მოსკოვის „სპარტაკთანაც" წააგეს — 61:71.

გთავაზობთ დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს: „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „დინამო" (კიევი) 56:53, „სპარტაკი" (მოსკოვი) — „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) 55:63, „ურალმაში" — „უნივერსიტეტი" (ალმა-ათა) 72:70, „უნივერსიტეტი" — „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) 66:61.

საბჭოთა გუნდები უცხოეთში

სოფია, 20 თებერვალი. ბულგარეთის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამეს" და მისი მოსკოველი თანაკლუბელების შეხვედრაზე მოსულმა მაყურებელმა ვერც ერთი გოლი ვერ იხილა, თუმცა ორივე კართან ბევრი სახიფათო მომენტი შეიქმნა.

მოსკოვის ცსკა-მ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: შმუცი, უტკინი, ბაბენკო, ისტომინი, კაპლიჩნი, შლაპაკი (ხისამუტდინოვი), დოროფეევი, კოპეიკინი, ფედოტოვი, კუზნეცოვი, დუდარენკო.

სოფია, 20 თებერვალი. მოსკოვის „დინამოს" ბულგარეთის დედაქალაქის „ლევსკი-სპარტაკმა" უმასპინძლა. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1.

ვუპერტალი, 21 თებერვალი. მოსკოვის „სპარტაკმა" აქ ფრედ დაამთავრა ამხანაგური მატჩი „ვუპერტალერ შპორტფერაინთან" — 1:1. ანგარიში მე-17 წუთზე გახსნა დასავლეთგერმანელმა პრეპერმა, ხოლო 88-ე წუთზე საპასუხო ბურთი რედინმა გაიტანა.

ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი

ტელეფონით
ლენინგრადი

ექსეულში თამაში უზრუნველყოფილია

ლენინგრადი, 21 თებერვალი **(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** აქ გრძელდება „ა" კლასის პირველი ჯგუფის ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო პირველობის პირველი წრის დასკვნითი მატჩები. გუშინ თბილისის „ბურევესტნიკს" ერთობ პასუხსაგები მატჩი ჰქონდა ტირასპოლის გუნდთან. პირველი ტაიმი თბილისელებმა 8 ქულით წააგეს — 10:18. შემდეგ სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა, მაგრამ ბოლო 13 წუთში ბურევესტნიკელებმა მძაფრად შეუტიეს მეტოქეს და ზედიზედ 11 ბურთი გაიტანეს. დაძაბული და საინტერესო ბრძოლა თბილისის „ბურევესტნიკმა" მოიგო — 23:22.

ბურევესტნიკელთა შორის განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეკარე ხუციშვილმა და თავდამსხმელმა ცერცვაძემ. ამ უკანასკნელმა 8 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში.

ჩვენს გუნდს ჩასატარებელი დარჩა ორი მატჩი: ხარკოვის „მეტალისტთან" და გათამაშების აუტსაიდერთან — ლენინგრადის არმიელებთან. ამ შეხვედრების შედეგების მიუხედავად, „ბურევესტნიკმა" უკვე მოიპოვა ფინალისტთა ექსეულში მონაწილეობის უფლება.

სატურნირო ცხრილში I ადგილზეა ლვოვის არმიელთა კოლექტივი. მას 16 ქულა აქვს. თბილისის „ბურევესტნიკი" ლიდერს ქულით ჩამორჩება. ტირასპოლის ხელბურთელებს 13 ქულა აქვთ.

ფინალისტთა ექსეულის მატჩები გაიმართება აპრილში თბილისში.

ლ. ფალავანდიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ერთი შეცდომის ფასი

ბაკურიანი, 20 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სათხილამურო სპორტში საქართველოს ჩემპიონატის მონაწილეებს გეგმით დღეს მეორე გიგანტურ სლალომსა და 15 კილომეტრზე (ორჭიდელებს) უნდა ეასპარეზათ, მაგრამ გუშინდელმა ავდარმა კალენდარში ცვლილებები მოითხოვა: წინადღისთვის დაგეგმილი 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა როგორც „მფრინავი მოთხილამურეების", ისე ორჭიდელებისთვის, ძალაუნებურად დღეისთვის გადმოვიტანეთ.

თავდაპირველად არც გიგანტური სლალომის ორჯერ გამართვას ვაპირებდით. გუშინ სპორტსმენებს სწრაფდაშვებაში უნდა შეემოწმებინათ ძალები, დღეს — გიგანტურ სლალომში, მაგრამ სწრაფდაშვების ტრასა ჯერ კიდევ არაა მზად. ამიტომაც შევცვალეთ სწრაფდაშვება გიგანტური სლალომით... დღეს კოხტაგორაზე მეორე გიგანტურ სლალომში აქ მოასპარეზე ორივე ჯგუფის კოლექტივები ჩაებნენ. ტრასის მონაცემები გუშინდელი იყო: სიგრძე — 1500 მ, სიმაღლეთა სხვაობა — 400 მ. ცვლილება მხოლოდ კართა რაოდენობაში მოხდა: სამთო სახეობებში მთავარი მსაჯის მოადგილემ, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა ი. ოგანეზოვმა მიზანშეწონილად მიიჩნია 50-ის ნაცვლად 52 კარის დადგმა. ეს მეორე ჯგუფის გუნდების სპორტსმენთა უნარის გათვალისწინებითაა ნაკარნახევი.

მოასპარეზე ცხრა ქალს შორის 6 პირველი ჯგუფის გუნდების წევრი იყო (თბილისელი სპორტის ოსტატი ნ. ფალიანი დაშავდა და სარბიელზე არ გამოსულა). ფინიშამდე მხოლოდ ხუთმა მიაღწია. გამარჯვება ახლაც სპორტის ოსტატობის კანდიდატს ს. ნასყიდაშვილს (ბორჯომი) ხვდა — 2.00,3. II ადგილზე ისევ პირველთანრიგოსანი თ. კოზანაშვილი (თბილისი) გავიდა — 2.01,3. III ადგილზეა მ. ცარიტოვა (2.07,2), რომელმაც თბილისის გუნდში ფალიანის ადგილი დაიკავა.

სამთომოთხილამურე ვაჟთა შორის სულ სხვა მდგომარეობაა. აქ მონაწილეთა სიმცირეს ვერ ვიტყვით, შემადგენლობაც საკმაოდ ძლიერია: 41 სპორტსმენიდან პირველობისთვის 4 სპორტის ოსტატი და 16 სპორტის ოსტატობის კანდიდატი იბრძოდა. „მეორეჯგუფელები" ამჯერად 10 სპორტსმენით იყვნენ წარმოდგენილი.

თბილისელი სპორტის ოსტატის ი. ნასყიდაშვილის საკავშირო ტურნირზე წასვლამ სხვა ფავორიტებს გამარჯვების შანსები გაუზარდა. თავდაპირველად სპორტის ოსტატი ა. სტეპანიანი (თბილისი) დაწინაურდა — 1.46,8. მერე ეს შედეგი ბორჯომელმა სპორტის ოსტატმა გ. ჯიჭოევმა გააუმჯობესა — 1.45,9. მერე კიდევ სამი სპორტსმენი დაეშვა და სწორედ მესამემ წაართვა ლიდერობა ჯიჭოევს. ეს გახლდათ თბილისელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი დ. თვაური — 1.45,3.

შეჯიბრება დამთავრდა. საპრიზო ადგილების ბედი თითქოს გარკვეული იყო, მაგრამ აი, სამდივნოში დისტანციის უფროსმა ცნობა მოიტანა, ჯიჭოევმა კარი გამოტოვაო. სპორტსმენს ეს შეცდომა, ცხადია, ძვირად დაუჯდა — შედეგი გავაუქმეთ.

ჩემპიონი გახდა თვაური. II ადგილზეა სტეპანიანი, III — ასევე თბილისელი სპორტის ოსტატი რ. აკოფოვი — 1.47,1.

70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში საასპარეზოდ წინა საღამოს მსაჯთა კოლეგიაზე რაიონებმა 8 „მფრინავი მოთხილამურე" წარმოადგინეს, მაგრამ ამ სახეობაში მთავარი მსაჯის მოადგილემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა ნ. თვაურმა დღეს მათ შედარებით პატარა ტრამპლინზე მოუწყო გამოცდა და ვინც ტექნიკურად აშკარად მოუმზადებელი აღმოჩნდა, გადამწყვეტ ბრძოლაში არ დაუშვა. ასე რომ, საბოლოოდ ჩემპიონატის სარბიელს მხოლოდ ბორჯომელი სპორტსმენები — სპორტის ოსტატი მ. გავა და სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. გავა შერჩნენ. პირველობა მ. გავას დარჩა — 193,2 ქულა (ნახტომები — 78,5 და 70 მ). ა. გავას შედეგია 147,7 ქულა (57 და 62 მ).

ორი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში პირველ ჯგუფში ბორჯომის რაიონის ნაკრები 10 საჯარიმო ქულით ლიდერობს და თბილისელებს 4 ქულით სჯობს. მეორე ჯგუფში ონის რაიონის სპორტსმენებმა I ადგილზე გადაინაცვლეს.

ო. გელაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

• • •

სურათზე: დ. თვაური ასპარეზობისას.

ავტორის ფოტო.

მეორე დღეს

გლაზოვი, 21 თებერვალი. ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე დღეს გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) — ცსკა 16:26, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი (ტაშკენტი) 30:28, ასკ (კიევი) — ზაპოროჟიეს მეტალურგიის ინსტიტუტი 16:20, „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — „კუნცევო" (მოსკოვი) 18:18.

ახალი ამბები-73

● **ტალინი, 20 თებერვალი.** საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის „ტალინი-73"-ის I ტურში დ. ბრონშტეინმა (სსრ კავშირი) მოუგო ა. სეიდის (აშშ). ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: ჰ. პფლეგერი (გფრ) — მ. ტალი, ი. ნეი — ბ. რიტოვი (სამივე — სსრ კავშირი), ჰ. ვესტერინენი (ფინეთი) — ი. ბალაშოვი (სსრ კავშირი), უ. ანდერსონი (შვეცია) — ლ. პოლუგაევსკი, ბ. სპასკი — ხ. კიარნერი (სამივე — სსრ კავშირი). დაუმთავრებელი დარჩა ლ. პოპოვ (ბულგარეთი) — პ. კერესისა (სსრ კავშირი) და ი. ტიმან (ჰოლანდია) — ი. პშიბლის (ჩეხოსლოვაკია) პარტიები.

● *მოსკოვი, 20 თებერვალი. „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე დღეს აურაცხელმა მაყურებელმა მოიყარა თავი — ყველას აინტერესებდა ბურთიან ჰოკეიში VIII მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩის ნახვა. ერთმანეთს ხვდებოდნენ სსრ კავშირისა და შვეციის ნაკრები გუნდები. ბრძოლა მართლაც საინტერესო გამოდგა. ანგარიშით 5:1 გაიმარჯვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა, რომლებმაც კიდევ უფრო განიმტკიცეს სალიდერო პოზიცია. მეტოქის კარში სამი ბურთი გაიტანა ხაბაროვსკელმა ა. ფროლოვმა და ახლა იგი 10 ბურთით სათავეში უდგას სნაიპერთა სიას. კრასნოგორსკში ერთმანეთს შეხვდნენ ფინეთისა და ნორვეგიის ეროვნული გუნდები. მწვავე ბრძოლა ფინელთა გამარჯვებით დასრულდა — 3:2. წინაა მეორე წრის შეხვედრები.*

● **ბრატისლავა,** 20 თებერვალი. **მაღალ ტატრებში მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში 15-კილომეტრიანი რბოლა გდრ-ის წარმომადგენელმა ი. ვოლფმა მოიგო — 51.04,5. მომდევნო საპრიზო ადგილებზე საბჭოთა სპორტსმენები გავიდნენ: მოსკოველმა ა. შმიგუნმა II ადგილი (51.21,7) დაიკავა, ხოლო ტალინელმა ი. ვოოდლამ — III (51.36,7).**

● **ბუდაპეშტი,** 20 თებერვალი. უნგრეთის დედაქალაქის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში ლიდერობენ საბჭოთა დიდოსტატები ვაგანიანი და გელერი: 7 ტურის შემდეგ მათ 5-5 ქულა აქვთ. VII ტურში ვაგანიანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა უნგრელ რიბლისთან და მის თანამემამულე ადორიანთან ზავს მოაწერა ხელი VI ტურის გადადებულ პარტიაში. ასევე ზავით აღინიშნა ჩოკილტია (რუმინეთი) — გელერის პარტია,

ეს დიდი საქმეა!

ქართული ხალხური სპორტი სტუდენტთა და მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში

„ლელოს" 1973 წლის 1 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული დოცენტ ვ. ელაშვილის სტატია „რა ადგილი მივაკუთვნოთ?" უდავოდ იმსახურებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტების, მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების განსაკუთრებულ ყურადღებას.

უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების ფიზიკურ აღზრდაში ქართული ხალხური სპორტის ადგილის შესახებ საკითხის წამოჭრა დროული და ცხოვრებისეულია. აღნიშნული პრობლემის გონივრულად, წარმატებით გადაჭრა ხელს შეუწყობს სტუდენტი ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, მშდ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის დანერგვას. ავტორი, ეხება რა ეროვნული კულტურის განუყოფელ ნაწილს — მოძრავ თამაშობებს, ფიზიკურ ვარჯიშებს და სპორტულ შეჯიბრებებს, მიუთითებს, რომ საერთაშორისო სახეობების დიდმა პოპულარობამ დაჩრდილა და საგრძნობლად შეაფერხა ქართველი ხალხის ეს საუნჯე. იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ხალხური მოძრავი თამაშები თანდათან დავიწყებას ეძლევა. თითქმის იგივე ბედი ელის ქართულ ჭიდაობას.

ისმის კითხვა: რამ გამოიწვია არსებული მდგომარეობა, რა გზებით, მეთოდებით და საშუალებებით დავუბრუნოთ შესაფერი ადგილი ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში ეროვნულ სახეობებს? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა მეტად რთული საქმეა. მდგომარეობა ნამდვილად დამაფიქრებელია.

თვით ხალხის გონებით, სიბრძნით, ვაჟკაცობით შექმნილი კულტურა თაობიდან თაობებს გადაეცემოდა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა. ამიტომაა, რომ ხშირად რომელიმე მოძრავი თამაშობა ან სპორტის სახეობა სხვადასხვა სახით გვხვდება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საფუძვლიანად შევისწავლოთ ის მიზეზები და გარემოებანი, რამაც განაპირობა სპორტის ხალხურ სახეობათა და მოძრავ თამაშობათა თანდათანობით მივიწყება. ჩვენი ვალია გავაღვივოთ ინტერესი ამ სახეობებისადმი, ვაქციოთ ისინი აქტიური დასვენების ერთ-ერთ ფორმად. ამ საკითხებზე ჩვენ უწინაც გავამახვილეთ ყურადღება (Физическая культура в школе», № 3. 1971, стр. 8-10; „სკოლა და ცხოვრება", № 9. 1971 წ. გვ. 34-40). მაშინ ხაზგასმით აღვნიშნეთ ხალხური სახეობების უდიდესი მნიშვნელობა მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში, გამოვამზეურეთ ზოგიერთი მივიწყებული სახეობა, სხვადასხვა სახის შეჯიბრებები ორჩოფეხებით, რამაც ძალიან დააინტერესა მოსწავლეები.

ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის ძირითად ნაწილში ვიყენებდით ხალხურ სახეობებს ეგრეთ წოდებული „მიმყვანი" ვარჯიშის სახით. მაგალითისთვის დავასახელებთ ერთ-ერთს — „ოთურმას", რომელიც ხელს უწყობს ბჯენითი ხტომის დაუფლებას. მოსწავლეებს საშინაო დავალებად ვაძლევდით ხალხური სახეობებისა და მოძრავი თამაშობების შეკრებას. მსგავსი ღონისძიებები შეიძლება სტუდენტთა ფიზიკურ აღზრდაშიც დაინერგოს.

სწორედ სკოლის პერიოდში უნდა გავამახვილოთ განსაკუთრებული ყურადღება მოსწავლეთა მიერ ხალხური სახეობებისა და მოძრავი თამაშების სისტემატურ, მიზანშეწონილ გამოყენებაზე, რაც ხელს შეუწყობს უმაღლეს სასწავლებლებში საკითხის უკეთ მოგვარებას.

აღსანიშნავია, რომ როგორც სტუდენტი ახალგაზრდობის, ისე მოსწავლეთა მშობლების დიდი უმრავლესობა ჩამოცილებულია აქტიურ სპორტს. მათს უმრავლესობას მხედველობიდან არასოდეს გამორჩება საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებები, მაგრამ ფიზიკური აღზრდის მისაწვდომ, ყოველდღიურ საშუალებებს უგულებელყოფს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ეროვნული სახეობები სრულიად გადაივიწყეს და შვილებიც ვეღარ იღებენ მათგან სათანადო მაგალითს და რჩევა-დარიგებას.

როგორც სტუდენტები, ისე მოსწავლეები უნდა შევაიარაღოთ საჭირო ცოდნით, რათა ფიზკულტურა და სპორტი გადავაქციოთ მათი დღის რეჟიმის შემადგენელ ნაწილად, ყოველდღიურ მოთხოვნილებად.

ჩვენი აზრით, ასეთ ბაზაზე სათანადო ეფექტი და წარმატება ექნება ხალხურ სახეობებსაც და მოძრავ თამაშებსაც.

პედაგოგიური ინსტიტუტების ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სავალდებულოდ უნდა ვაქციოთ სათანადო მომზადების შემდეგ პედაგოგიური პრაქტიკის პერიოდში სააგიტაციო და პრაქტიკული მუშაობა ხალხური სახეობების უკეთ დასანერგად.

სასარგებლო იქნება თვალსაჩინოებათა გამოყენება. ამ დიდი საქმის აგიტაცია-პროპაგანდას მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ რადიომ, ტელევიზიამ, პრესამ.

ი. ოხანაშვილი,
თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

ჭიდაობას რა უნდა!

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სპორტული კლუბის დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა 1956-57 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა რესპუბლიკური პირადგუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „დინამოს", „განთიადის", „ლოკომოტივის", „სპარტაკის", „ბურევესტნიკის", „შრომითი რეზერვებისა" და „კოლმეურნის" წარმომადგენლები.

გუნდური პირველობა განთიადელებმა დაისაკუთრეს. II ადგილზეა „დინამო", III — „სპარტაკი".

წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაიკავეს: თ. დოლონაძემ, თ. უგულავამ, ო. თეთვაძემ, რ. აბრამიშვილმა (ყველა — „დინამო"), თ. ბალიაშვილმა, ი. ცანავამ (ორივე — „განთიადი"), ე. მაჩაიძემ („დინამო"), პ. ოდიშვილმა, თ. ტურიაშვილმა (ორივე — „განთიადი"), ტ. ვეფხვაძემ („შრომითი რეზერვები"), თ. მოლქვაძემ („სპარტაკი").

ლ. ფაჩუაშვილი.

ქუთაისი.

სურათზე: თ. ხატიაშვილისა („განთიადი") და ჭ. კვაშილავას („კოლმეურნე") შეხვედრის მომენტი. განთიადელმა წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

ავტორის ფოტო.

შეჯიბრება, მონაწილე, მსაჯი

მეთოდური წერილი

◆

მოჭადრაკის ძალა შეჯიბრებაში ვლინდება. შეჯიბრების სწორი ორგანიზაცია, თამაშის ნორმალური პირობები ხელს უწყობს მოჭადრაკეს თავისი ღირსებების სრულად გამოვლენაში.

შეჯიბრებას აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. მონაწილე ეჩვევა კოლექტივში ცხოვრებასა და შრომას, ადამიანებთან ურთიერთობას, მეგობრობას. ყოველივე ეს მონაწილეს ყოველდღიურ საქმიანობაშიც ადგება.

შეჯიბრებაში უკონფლიქტობას ძირითადად განაპირობებს „სსრ კავშირის საჭადრაკო კოდექსის" მოთხოვნების დაცვა მონაწილეებისა და მსაჯების მიერ. მაგრამ კოდექსი ყველა შესაძლებელ შემთხვევას როდი განიხილავს. მასში იგულისხმება, რომ მოჭადრაკე შემკული უნდა იყოს ზნეობრივი ღირსებებით, მაღალი მორალით, რაინდული სულითა და ვაჟკაცობით. სამწუხაროდ, ყოველთვის ასე როდია.

ზოგიერთს ავიწყდება მიესალმოს, ხელი ჩამოართვას მეტოქეს თამაშის წინ, ან პარტიის შემდეგ მიულოცოს გამარჯვება, ან მადლობა გადაუხადოს უშეღავათო ბრძოლისთვის.

ზოგიერთს პარტიაზე დაგვიანება ჩვევად გადაექცა. მართალია, მოთამაშე ისჯება, როცა მოსაფიქრებელ წუთებს კარგავს, მაგრამ, ამასთან, თავისი საქციელით აღელვებს მეტოქეს, მსაჯს, მაყურებლებს, შეჯიბრებაში დისონანსი შეაქვს. გაიხსენეთ, როგორ აღაშფოთა საზოგადოებრიობა ბ. სპასკისთან მატჩის თითქმის ყოველ პარტიაზე რ. ფიშერის დაგვიანებამ.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მხოლოდ მოჭადრაკის პირადი საქმე როდია. მის შედეგთან სხვა მონაწილეების სპორტული ინტერესებიც არის დაკავშირებული. მონაწილემ შეჯიბრება ბოლომდე მაღალ შემოქმედებითს დონეზე უნდა ჩაატაროს. ორგანიზაცია, რომლის ღირსებასაც ესა თუ ის მონაწილე იცავს, დაინტერესებულია მისი თამაშით. შეჯიბრება პროპაგანდას უწევს ჭადრაკს. ეს ყველას უნდა ახსოვდეს.

ზოგიერთი, ოღონდ კი საწადელს მიაღწიოს, ბრძოლის მიუღებელ ხერხებს არ თაკილობს, განსაკუთრებით, ცაიტნოტში. ცაიტნოტში ზოგიერთი მოჭადრაკე თვითკონტროლს კარგავს, სვლებს ხმაურით აკეთებს: ფიგურის დარტყმით გადართავს საათს, დაფაზე ფიგურებს აბნევს და პარტიის ჩაწერას თავს ანებებს. ეს ყოვლად დაუშვებელია.

არც ისაა ზრდილობა, რომ სხვისი დახმარებით ისარგებლო: ჰკითხო რამდენი სვლა გაკეთდა, მეტოქის ჩანაწერში ჩაიხედო.

მოჭადრაკეს უნდა შეეძლოს გრძნობების დაოკება, არც ცაიტნოტში დაკარგოს მოთმინება და დიდსულოვნება.

ცაიტნოტში, როცა მეტოქის საკონტროლო სვლამდე წამები რჩება, შამათამდე თამაში საძრახისი შეიძლება არ იყოს, მაგრამ სხვა შემთხვევაში დასაგმობია. დროით დანებებაც თავისებური ხელოვნებაა.

ზოგიერთი პარტიას უიმედო პოზიციაში გადადებს ხოლმე. ეს მეტოქის მიმართ უპატივცემლობაა. განა რის იმედი უნდა ჰქონდეს ასეთი პარტიის გადამდებს? მეტოქის მხრიდან უხეში შეცდომის, მცდარი ან მცდარად ჩაწერილი სვლისა? ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მოხდეს. შეიძლება ცხელ გულზე უცებ, დროით ვერ მოისაზრო დანებება, მაგრამ, როცა მიხვდები, რომ პარტია უიმედოა, დათმობა აუცილებელია. მაშინვე მეტოქესა და მსაჯს უნდა აცნობო ამის შესახებ. დანებება მეორე დღისთვის რომ გადადო, საკუთარ თავსაც ზიანს მიაყენებ: უნდა გამოცხადდე დანიშნულ დროზე და დანებდე. უიმედო პოზიციაში გადადებული პარტიის დამთავრებამდე მიუსვლელობა შეჯიბრების, მეტოქის უპატივცემულობაა.

მეტოქესთან ურთიერთობაში შეჯიბრების მონაწილეს ტაქტი და რიდი მართებს. ყოველ დაუკვირვებელ სიტყვას შეუძლია აალელვოს მოთამაშე. ზოგს ჩვეულებად აქვს მოგებულ პარტიაში საკუთარი თამაშის ქება, ან წაგებისას მეტოქის დამცირება. ერთობლივი ანალიზის დროს მოსაუბრეებს თავაზიანობა და დიდსულოვნება მოეთხოვებათ.

სასურველი არ არის გადადებული პარტიის შესახებ საუბარი მეტოქეებს შორის. ხშირად ასეთი საუბარი მათ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. ამ დროს საიდუმლო სვლის გამჟღავნების საშიშროებაც იქმნება.

აი, რას გვიამბობს მ. ბოტვინიკი: „ნოტინგემის 1936 წლის ტურნირში ჩემი პარტია ლასკერთან ოთხსაათიანი თამაშის შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა. ორსაათიანი შესვენების დროს გავაანალიზე გადადებული პოზიცია და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ყაიმი გარდუვალია, თუ ლასკერმა სწორი და, როგორც მეჩვენებოდა, ერთადერთი სვლა ჩაიწერა. შესვენების დამთავრებამდე ოცი წუთი იყო დარჩენილი, ლასკერი რომ მოვძებნე და ყაიმი შევთავაზე... ოღონდ, თუ ის სვლა ჰქონდა ჩაწერილი, რომელიც ერთადერთად მიმაჩნდა. ლასკერი შეკრთა. თქვა, სხვა სვლა ჩავიწერე, რაც, ჩემი აზრით, ყაიმის მისაღწევად საკმარისიაო. დადგა ჩემი უხერხულობის ჟამი. თვითონ ლასკერმა გამამხნევა. დამეთანხმა, რომ მე ანალიზს აღარ გავაგრძელებდი (ჩაწერილი სვლის საიდუმლოება დაირღვა. მან უარი თქვა ჩემს ჯიბის ჭადრაკზე, რომელიც შევთავაზე, რათა ანალიზი არ გამეგრძელებინა) და მითხრა, რომ სავსებით მენდობა. ჩვენი პარტია ყაიმით დამთავრდა..."

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ამბობს, რომ მისი წინადადება, თუმცა გულწრფელი, მაგრამ უტაქტო იყო.

ზოგიერთს ავიწყდება დაფას მოსცილდეს, როცა მეტოქე საიდუმლო სვლას იწერს. არც იმ მაგიდასთან უნდა გაჩერდე, სადაც გადადებულ პარტიაში სვლა იწერება.

მსაჯთან ურთიერთობაში შეჯიბრების მონაწილე მშვიდი და თავშეკავებული უნდა იყოს. შეიძლება მსაჯის შენიშვნა არ მოგეწონოს, მაგრამ აღელვება რომ გაგივლის, მერე ელაპარაკე ამის თაობაზე.

მონაწილე შეჯიბრებაზე ისე უნდა მოდიოდეს, როგორც დღესასწაულზე. მისი გარეგნობა, მანერები სასიამოვნო უნდა იყოს.

მსაჯი შეჯიბრების წარმმართველი ძალაა. მისი მიზანია მონაწილეთათვის თამაშის მაქსიმალურად საუკეთო პირობების შექმნა. მსაჯი პირადი მაგალითით უნდა განასახიერებდეს სიმშვიდეს შეჯიბრებაში. მან ზედმიწევნით უნდა იცოდეს „სსრ კავშირის საჭადრაკო კოდექსი" და მარჯვედ იყენებდეს მას. თუ მსაჯი მაღალი თანრიგის მოჭადრაკეა, მით უკეთესი. იგი აუცილებლად უნდა იყოს პრინციპული და მტკიცე, აუღელვებელი, სულგრძელი, კეთილსინდისიერი და თავაზიანი, აკურატული და მომთხოვნი. მხოლოდ ასეთი მსაჯი სარგებლობს ავტორიტეტით და პატივისცემით.

მსაჯი მუდამ აღმზრდელი უნდა იყოს. მოთმინებით, ყოველდღიურად იბრძოდეს მოჭადრაკეებში საბჭოთა საზოგადოების ზნეობრივი ნორმების, ეთიკის მოთხოვნათა განმტკიცებისთვის.

მსაჯსა და მონაწილეებს შორის ჯანსაღი, მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა შეჯიბრების წარმატების საწინდარია.

თ. გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი.

ალი სარბიელზე და მის გარეთ

დიდმა სპორტმა იგი 14 წლის უკან გაიცნო. 14 წლის უკან დაღესტნის ერთ-ერთი ლამაზი აულის ჩოხის მკვიდრი ალი ალიევი პირველთანრიგოსანი იყო — ფეხს იდგამდა თავისუფალ ჭიდაობაში. აი, სწორედ მაშინ გაუღიმა ბედმა ნიჭიერ ათლეტს და საკავშირო ჩემპიონატის ყველა ბრძოლა მოიგო უმძიმეს წონაში. ალიევი გახდა სახელოვანი ქართველი ფალავნის, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონის მირიან ცალქალამანიძის პირდაპირი მემკვიდრე. 14 წლის უკან ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ალის გულიც ერჩოდა და ღონეც, მირიანი კი სპორტულ კარიერას ამთავრებდა.

მას შემდეგ დაღესტნელი მოჭიდავის სახელი გამარჯვების სინონიმად იქცა. იგი ცხრაჯერ იყო სსრ კავშირის, ხოლო ხუთჯერ — მსოფლიოს ჩემპიონი. მაგრამ ბედმა ალის არ არგუნა საჭიდაო დიდების მთლიანი კავალერის სახელი: იგი ვერც ერთხელ ვერ ამაღლდა ოლიმპიური ჩემპიონის დაფნის გვირგვინამდე.

აი, პარადოქსიც ესაა: მისი მოწაფე ზაგლავ აბდულბეკოვი ოლიმპიური ჩემპიონია, მსოფლიოს ხუთგზის გვირგვინოსნისთვის კი ეს ტიტული აუხდენელ ოცნებად დარჩა. თუმცა ა. ალიევი ამას უკვე აღარ აქცევს ყურადღებას. იგი უფრო მეტად იმით ამაყობს, რომ პატარა დაღესტნის სამმა ღირსეულმა ფალავანმა — ზაგლავ აბდულბეკოვმა, არსენ ალახვერდიევმა და რუსლან აშურალიევმა ბოლო ოლიმპიადაში თავიანთ სამშობლოს უფრო მეტი ქულა მოუტანეს, ვიდრე ირანის, თურქეთისა და დასავლეთ გერმანიის თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ერთად.

ა. ალიევის მთავარი მიზანი ახალგაზრდობის აღზრდაა. ამ მიზანს იგი ერთგულად ემსახურება. დაღესტნელ ჭაბუკებს კარგი ჰკუის დამრიგებელი ჰყავთ, ამიტომ იმედია, რომ ამ პატარა კუთხეში კვლავაც აღიზრდებიან ახალი აბდულბეკოვები, ალახვერდიევები, აშურალიევები...

* * *

სურათზე: ვეტერანი სპორტსმენი გულით მაინც ახალგაზრდაა და უმაწვილური უშუალობით განიცდის ღირსეულთა შერკინების დეტალებს. ფოტო გადაღებულია თბილისის საერთაშორისო ტურნირის დღეებში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

[illegible]

◆ თერჯოლა

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა რაიონული პირველობა თერჯოლის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მოიგეს. II ადგილზე გავიდა საზანოს, ხოლო III — ღვანკითის საშუალო სკოლების გუნდები.

ვ. კუტალაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლემიკური შენიშვნები

დავუბრუნდეთ ტექნიკას. მასლოვი ერთგვარად სწორია, როცა ამბობს, რომ საბჭოთა ფეხბურთელების ტექნიკური შეზღუდულობა ტაქტიკის გაბატონების ბრალია. ოღონდ განა გვაქვს დახვეწილი ტექნიკა და არ ვიყენებთ, რადგან არ გვჭირდება? საქმე ისაა, რომ ტექნიკა არა აქვთ და ვერც სადმე შეიძინეს. მისი უტილიტარობა საბჭოთა თეორეტიკოსების მიერ უარყოფილი იყო, პრაქტიკა კი თავისი სპეციფიკის გამო, პროტექციონისტულად ავითარებდა შეზღუდულ და ცალმხრივ ტექნიკას, პირობითად რომ ვთქვათ, პურისტულს.

წმინდა მანევრული ფეხბურთის ორთოდოქსები — საბჭოთა თეორეტიკოსები მუდამ იწუნებდნენ, მაგალითად, საჰაერო თამაშის ტექნიკას, როგორც შეტევაში მრავალელემენტიანს, რომელსაც დროის დანაკარგისკენ მივყავართ. თავის დროზე წიგნში „საფეხბურთო თამაშის ტაქტიკა" მის წინააღმდეგ გაილაშქრა ბ. არკადიევმა. ჩილის ჩემპიონატის შემდეგ სხვა თეორეტიკოსების მოხსენებებში აგრეთვე მტკიცდებოდა საჰაერო ტექნიკის გამოუსადეგარობა მიწის ტექნიკასთან შედარებით. კერძოდ, გატარებული იყო აზრი ჟონგლირების მავნებლობაზე, რადგან თურმე იგი მხოლოდ ბურთის მაღლა აგდებას ასწავლის ფეხბურთელს, თამაშის დროს კი საჭიროა ბურთი წინ ისროლო.

მაგრამ თეორია რა არის. მთავარი როლი ითამაშა თამაშის სისწრაფის გაზრდის სურვილით გამოწვეულმა ტექნიკურ შეზღუდულობათა პრაქტიკამ. მანევრული ფეხბურთი — განსაკუთრებით ჩვენი გაგებით, განსაკუთრებით კონტრშეტევის ვარიანტში, სადაც საპასუხო დარტყმის წარმატება მთლიანად განპირობებულია მოვლენათა ცვალებადობის სისწრაფით, რაც ასწრებს მეტოქის მასირებული დაცვის ორგანიზაციას და ოპერატიულ სივრცეს აძლევს საკუთარ კონტრშეტევას, — მანევრული ფეხბურთი მოქმედებათა სისწრაფის გაზრდის ინტერესებში მიისწრაფვის შეძლებისდაგვარად შეამსუბუქოს თავისი ტექნიკური ამუნიცია და რთულ ტექნიკას განიხილავს, როგორც ბალასტს. გადააწოდე სხვას, ბურთი დაუყოვნებლივ დაამუშავე, რბენას ნუ ამუხრუჭებ, გადაცემის სწრაფად მიღებაში დამატებით სიძნელეებს ნუ ქმნი. აი, ვიმეორებ, რისთვის გადავარდა საბჭოთა ფეხბურთი პურიზმში, რისთვის ირჩია თვითშეზღუდვა რთული (როგორც არაეკონომიური) ტექნიკის მხრივ.

დიახ, მხოლოდ დაბალი გადაცემებით, სწრაფად, მანევრულად თამაშის განუსჯელმა სურვილმა გამოიწვია საბჭოთა ფეხბურთის მიერ პრაქტიკულად გამოყენებული და, მაშასადამე, მის განკარგულებაში მყოფი ტექნიკის გამარტივება, განაპირობა მისი სიღარიბე და ჩამორჩენილობა.

ტექნიკის მდგომარეობის საკითხზე ფუჭად ვიკამათებთ, სანამ ჩვენს პოზიციებს არ გავარკვევთ. რაში ვართ ჩამორჩენილები? ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა ბურთის თავისუფალმა დამუშავებამ სივიწროვეში, მეტოქეების გარემოცვაში, სადაც მანძილი იზომება არა მეტრებში, არამედ სანტიმეტრებში, დრო არა წამებში, არამედ წამის მეასედ ნაწილებში.

ბურთის წართმევის თავიდან აცილების მიზნით მსოფლიო ფეხბურთში გაიზარდა ძლიერი გადაცემების მნიშვნელობა. ჩვენ კი ჩამოვრჩებით ასეთი ბურთების მიწოდებასა და მიღებაში, რადგან ეგრეთ წოდებული „ჩქაროსნული" ტექნიკის ინტერესების მიზნით ვასწავლით მარტივად და ნელა გადაცემას. „ვიგებთ" დროს ბურთის დამუშავებისას ფრენაში დროის კარგვის და დასწრებაზე თამაშისას ბურთის წართმევის დიდი საფრთხის ხარჯზე.

მსოფლიო ფეხბურთმა გაართულა ბურთის წართმევა, გვერდი აუარა მიწის კომუნიკაციებს და საჰაერო ტექნიკით უფრო ხშირად იწყო სარგებლობა. აქ კი ჩვენ საგრძნობლად ჩამოვრჩებით, ვინაიდან პირველ მცნებად ბურთის ძირს დაშვება ვაქციეთ.

სივიწროვეში ცხოვრებისეულად აუცილებელი გახდა (უწინ პიჟონურად გამოცხადებული და აბუჩად აგდებული, ამიტომაც დაზარალებული) ბურთის მიღების, დამუშავების, დრიბლინგის, კონტროლირების, ბურთთან ყოველნაირი მანიპულაციების, დახვეწილი მრავალელემენტიანი ტექნიკა, განსაკუთრებით კი ყველაზე რთული — საჰაერო, ძირს დაუშვებლად თამაშის ტექნიკა.

ფეხბურთელების ტექნიკა ევოლუციას განიცდის მენჯ-ბარძაყის ღერძის გარშემო ფეხის მოძრაობიდან მუხლის სახსრების როლის გაზრდამდე, დაბოლოს, ტერფის სახსრებიდან ბერკეტის დამოკლებამდე. საჭიროა ტექნიკა უფრო მახვილგონივრული და, მაშასადამე, უფრო „ტერფისეული".

ვინ იტყვის, რომ ეს ელემენტები ჩვენთვის გასაჭირი არაა? და მაინც, ვ. მასლოვი ცდება უმთავრესად არა იმიტომ, რომ ამტკიცებს: ჩვენს საუკეთესო ფეხბურთელებს ნებისმიერი ხერხების შესრულება შეუძლიათო. შეძლებით კი შეუძლიათ, მაგრამ გააჩნია როდის, სად, როგორ.

ტექნიკური დონე ვარჯიშის დროს ან უმარტივეს სიტუაციაში ხერხების გამოყენების უნარით არ იზომება. ტექნიკური აღჭურვილობის ხარისხი განისაზღვრება შეჯიბრებებში პრაქტიკულად გამოყენებული ხერხების ასორტიმენტითა და შესრულების ხარისხით: ამ თვისებების მდგრადობით პასუხსაგებ მატჩებსა და სათამაშო სიტუაციებში, მდგრადობით თანამედროვე ფეხბურთისთვის მეტად დამახასიათებელ მკაცრი ორთაბრძოლისა და სიმჭიდროვის პირობებში.

უმაღლესი ტექნიკის გადამწყვეტი კრიტერიუმი მუდამ იყო და იქნება ხერხების გამოყენებაში **დამაჯერებლობის, უშუალობის, გამომგონებლობის** ხარისხი, როგორი რთულიც უნდა იყოს ეს ხერხები და რარიგ სერიოზულ სიტუაციაშიც უნდა სრულდებოდეს. მე ამას ვუწოდებდი **ტექნიკის ორგანულობის** ხარისხს, რაც, მსოფლიო ეტალონებთან შედარებით, არსებითად არ ჰყოფნით უკანასკნელი დროის საუკეთესო საბჭოთა ფეხბურთელებსაც კი.

ვ. მასლოვი თავდაყირა აყენებს პრობლემას იქაც, სადაც ამბობს, რომ საბჭოთა ფეხბურთელებს მაღალი ტექნიკა აქვთ, მაგრამ „ათლეტური მომზადების უკმარობა აიძულებთ ყველაზე მარტივი ხერხები გამოიყენონ". ეს ნონსენსია! პირიქით, როცა ათლეტიზმში ჩამორჩებიან, მუდამ ცდილობენ ამის კომპენსაციას მაღალი ტექნიკით, ანუ კი არ მიაგდებენ მას (თუ საერთოდ გააჩნიათ), არამედ, პირიქით, ყოველმხრივ იყენებენ, ხოლო თუ არ იყენებენ, სამწუხაროდ, მხოლოდ იმიტომ, რომ არ გააჩნიათ.

ცუდი ათლეტიზმის გამო კარგ ტექნიკას როდი ივიწყებენ. პირიქით, ცუდი ტექნიკის გამო ათლეტიზმს უჭირს.

ცუდი ტექნიკა, ისევე როგორც არასრულყოფილი ტაქტიკა, ესაა არაეკონომიური მოძრაობები, წუნი, შეცდომები, ძალების ზედმეტად დაძაბვა ანუ ენერგეტიკული რესურსების დანაკარგები, რაც ზოგჯერ მეტად დიდია. ძირითადი მიმართულების მთავარი კოზირი საბჭოთა ფეხბურთში ათლეტური უპირატესობაა. მისი დაკარგვით საკმაო დროით შეიძლება საერთოდ უკოზირებოდ დავრჩეთ. ეს მეტად სახიფათოა.

კი მაგრამ, რატომ არ ჰყოფნით ზოგჯერ საბჭოთა ფეხბურთელებს გამძლეობა? ნუთუ ისინი მართლაც მეტოქეებზე ნაკლებად გამძლენი არიან? არა, ისინი კვლავინდებურად რჩებიან სწრაფ, ფიზიკურად ძლიერ და მსოფლიო ფეხბურთში ერთ-ერთ ყველაზე გამძლე მოთამაშეებად. და თუ საგრძნობლად იღლებიან, არა ძალების პატარა მარაგის გამო. უბრალოდ, ისინი შეუდარებლად მეტ ძალას ხარჯავენ სხვებთან შედარებით. რასაკვირველია, როცა გინდა გაიმარჯვო მოძრაობის უპირატესობის ხარჯზე, უნდა შეგეძლოს შენთვის უმტკივნეულოდ მეტი სირბილი. ეს მნიშვნელოვანი გახდა ახლა თამაშის სწრაფად მზარდ ინტენსივობასთან დაკავშირებით, რაც მთელს მინდორზე მთელი ძალებით უფრო ოპერატიულად მანევრირებისკენ სწრაფვაში გამოიხატება.

ინტენსიფიკაციით გატაცებულებმა, როგორც ჩანს, მას ზედმეტი მნიშვნელობა მივანიჭეთ. ჩვენში თითქოს გაბატონდა აზრი, რომ გამარჯვება წინასწარაა უზრუნველყოფილი იმ მხარისთვის, რომელიც მეტ კილომეტრს გაირბენს. გუნდის ენერგოშეიარაღება და თამაშის ენერგოტევადობა, ან როგორც ა. სტაროსტინმა თქვა — „სიჩქარეთა ჯამი, მოძრაობათა ჯამი", ჩვენში კლასის რაღაც ერზაცად იქცა. მაგრამ მან ვერ გაუძლო გამოცდას მსოფლიო სარბიელზე. იქ ფასდება არა გარბენილი, არამედ მხოლოდ **სარგებლობის მომტანი** კილომეტრები.

ჩვენ წავიბორძიკეთ საკუთარი ინტენსიფიკაციის მარგი ქმედების კოეფიციენტზე. ტექნიკასა და ტაქტიკაში წუნის გამო. ვიმეორებ, ჩვენში მეტისმეტად ბევრია უნაყოფო ცდა, დანაკარგი, განსაკუთრებით კი მთელს მინდორზე პრესინგის გამოყენების სურვილის გამო. შრომისუნარიანობაში უპირატესობის შენარჩუნებისთვის საკმარისი არაა მისი უსასრულოდ ზრდა, საჭიროა ძალების რაციონალურად ხარჯვაც. ინტენსიფიკაცია გროშადაც არ ღირს, თუ მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი არ უდევს საფუძვლად.

ამასთან დაკავშირებით კვლავ უნდა დავუბრუნდეთ ვ. მასლოვის აზრს, თითქოს მთელი მსოფლიოს ფეხბურთი ერთ ყაიდაზე გარდაიქმნა. რამდენიც უნდა ილაპარაკონ სხვაობის წაშლაზე, ვთქვათ, ბრაზილიურსა და ინგლისურ ფეხბურთს შორის, ან მოსკოვურ და ქართულ ფეხბურთს შორის, სხვაობა მუდამ თვალში საცემი იქნება საქმეში ჩაუხედავი კაცისთვისაც კი. რატომ? იმიტომ, რომ წარმოშობილია გარემოსგან მემკვიდრეობით მიღებულ მონაცემებსა (ფიზიკურში, კუნთოვანში) და ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეროვნული ხასიათების განსხვავებებისგან. სამხრეთელები ფეხბურთშიც უფრო ექსპანსიურნი და „სიტყვაუხვნი" არიან, ჩრდილოელები — უფრო ლაკონიურნი და მშვიდნი. ერთი ფეხბურთი უფრო ემოციურია, მეორე — უფრო რაციონალური. ერთს განასხვავებს დიდი არტისტულობის, კოლექტიური მოქმედებების ინდივიდუალიზაცია, ტექნიკური გაწაფულობა, სათამაშო ფანტაზიის თვისებები, მეორეს — დიდი საქმიანობის, სათამაშო დისციპლინის, ლოგიკურობის, მოქმედებათა მრავალმხრივ დამუშავების, თუ გნებავთ, დაპროგრამების თვისებები.

იქნებ, ორი ძირითადი საფეხბურთო მიმართულების წყალგამყოფი მდებარეობს თამაშში **იმპროვიზაციისადმი პრინციპულად სხვადასხვა დამოკიდებულების** ხაზზე? ბრაზილიელებთან, მაგალითად, იმპროვიზაცია, შემოქმედება მინდორზე — ესაა ურთიერთმოქმედების საერთო საწყისებზე დაფუძნებული შეტევის ფორმირების ბუნება, ხოლო ნაცადი კომბინაციები, ავტომატური სვლები ამ დროს აუცილებელი დანამატია. ინგლისელებთან კი, პირიქით, სვლების ვარიაციული ავტომატიზმი, ნაცადი კომბინაციების შეტევის აგებაში ძვალსა და რბილში გამჯდარი სტანდარტული კვანძების გამოყენება — ბუნებაა, იმპროვიზაცია კი ამ დროს აუცილებელი დანამატია. ერთი სიტყვით, ძირითადი საშუალება ერთთან, მეორესთან დამხმარედ იქცევა და, პირიქით, დამხმარე — ძირითადად. მასლოვი ინგლისელებთან იმპროვიზაციას ზღუდავს ნაცადი სვლების... შენიღბვის ამოცანის ფარგლებშიც კი.

საბჭოთა ფეხბურთში, თუმცა არათანაბარი დონით, ორივე მიმართულებაა წარმოდგენილი. გუნდების უმრავლესობა „პროგრამირებულ" ფეხბურთს აღიარებს, მაგრამ არიან იმპროვიზაციული სკოლის აშკარა წარმომადგენლებიც. ამრიგად, არ შეიძლება ყველას ერთნაირი რეცეპტები მისცე ვარჯიშისა და თამაშის ორგანიზაციის შეხედულებებისთვის. კერძოდ, თუ ქართველებისთვის პირველი რიგის ამოცანაა შრომისუნარიანობის ამაღლება და მინდორზე საერთო მოძრაობის აქტივიზაცია, სხვა წამყვანი საბჭოთა გუნდების უმრავლესობისთვის, რომლებიც გამოირჩევიან, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე მეტი ენერგიის გაცემით, მთავარია, დანაკარგებთან, ძალების უნაყოფო ხარჯვასთან ბრძოლა.

აქ ბევრი რამ ჩვენში ამჟამად მოდური ტაქტიკის სინდისზეა. უნდა ითქვას, რომ მისდამი არაკრიტიკულ დამოკიდებულებას ბევრ რამეში ხელს უწყობს არსებული მცდარი აზრი, თითქოს იგი არაფრით განსხვავდება ტაქტიკისგან, რომელსაც წარმატებით იყენებენ მსოფლიო ფეხბურთის ათლეტური, მანევრული სკოლის საუკეთესო წარმომადგენლები — ინგლისელები და გფრ-ის ფეხბურთელები. მაგრამ დიდ მსგავსებას შეცდომაში არ უნდა შევეყავდეთ. ისინი თამაშს შეტევაზე აგებენ, ჩვენ — კონტრშეტევაზე.

დღევანდელი საბჭოთა ფეხბურთი არსებითად ნეგატიური ბუნებისაა. მსოფლიოს საუკეთესო გუნდები ცდილობენ **თამაშით აჯობონ** და მოუგონ მეტოქეს, ჩვენების მიზანია **თამაშის საშუალება არ მისცენ** მოწინააღმდეგეს. ისინი ცდილობენ ინიციატივას დაეუფლონ, მინდვრის ბატონ-პატრონები გახდნენ, გამუდმებით იერიშზე იყვნენ, ჩვენ ვცდილობთ ცრუ ინიციატივა მივცეთ მეტოქეს, გამოვიყვანოთ მისი შეტევით გატაცება და მივაყენოთ უეცარი კონტრშემტევი ჩხვლეტა. მაშასადამე, იმათთან გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საკუთარი იერიშების **აგებას**, ჩვენთან — სხვისი შეტევის **გაქარწყლებას**.

შემდეგ, მსოფლიოს საუკეთესო გუნდების სტრატეგია დამყარებულია ძირითადად ბრძოლის აგებაზე ორ ზონაში, მინდვრის მოპირდაპირე ბოლოებში, იქ, თავისი და მეტოქის კარის სიახლოვეს, ძირითადი ძალების სწრაფად თავმოყრის გზით ისინი დაცვითს და შეტევითს ბრძოლას ეწევიან. რაც შეეხება მინდვრის შუაგულს, ეს სტრატეგია გამოდის სწორი ვარაუდიდან, რომ მაღალი კლასის გუნდმა იგი დაუბრკოლებლად უნდა გაიაროს. ამიტომ დაცვაზე გადასვლისას თავისთვის მიზანშეწონილად მიაჩნიათ არ გადაიღალონ ნაკლებად ეფექტური შუა ბრძოლით და ძირითადი ძალებით სწრაფად დაიხიონ უკან, საწყის საზღვრებზე, მინდვრის ცენტრში კი ჩაატარონ, ასე ვთქვათ, არიერგარდული ბრძოლა იმათი დახმარებით, ვინც უშუალოდ დაკარგა ბურთი, და საერთოდ, წინ დატოვებული მოთამაშეების ძალებით. ამრიგად, მინდვრის შუაგულს აქ უფრო ტრანზიტული დანიშნულება აქვს.

ჩვენთან კი, პირიქით, ძირითადი ბრძოლის ზონა ერთია — მინდვრის შუაგული. სტრატეგია აქ დაფუძნებულია ამოცანაზე, რომ აუცილებლად ჩაითრიონ მეტოქის ძირითადი ძალები მტანჯველ შუა ბრძოლაში, აიძულონ მეტოქე ზურგი გაიშიშვლოს და მისი შეტევის უნარი ჩაახშონ საკუთარი კარის ჯერ კიდევ შორეულ მისადგომებთან. აქედან სხვის შეტევას ტკიპასავით ჩამოეკიდებიან, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, უკან დაიხევენ და დაცვას გააძლიერებენ. აქედან, ამ დიდი საფარიდან, იოლიცაა უეცრად გადმოხტე და გოლი გაიტანო. ამ დამქანცველ პრესინგში მინდვრის შუაგულში უდიდესი როლი მიენიჭა მოძრაობაში უპირატესობას, დასწრებაზე თამაშს, ჩქაროსნულ გამძლეობას, იმას, რასაც ბევრ რამეში ეყრდნობა საბჭოთა ფეხბურთი, როცა ცდილობს ასეთი თამაში მეტოქეს თავს მოახვიოს.

ვ. მდივანი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 82.

თასების მფლობელნი

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ჭადრაკში დედაქალაქის თასებისთვის ფინალურმა შეხვედრებმა უაღრესად დაძაბულად განვლო.

ქალთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ 12 წლის მ. ჩიბურდანიძე და 11 წლის ნ. გურიელი. მინი-მატჩი (ორი პარტია) ყაიმით (1:1) დასრულდა. გამარჯვებულის გამოსავლინებლად საჭირო შეიქნა ხუთწუთიანი, ელვისებური პარტიების თამაში. აქ მაიამ აჯობა მეტოქეს (2:0) და თასიც მას, თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეს, დარჩა.

საქართველოს თასის გათამაშებაში ჩიბურდანიძის გარდა მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ნ. გურიელმა, ნ. ხუბულურმა, ლ. წეროძემ, ლ. თანდაშვილმა და ლ. ბელოზიოროვამ.

ვაჟთა ფინალშიც ელვისებური პარტიების თამაში გახდა საჭირო. ფინალური შეხვედრა ქ. ჩიგოგიძისა და თბილისის მოსწავლეთა ჩემპიონ ი. ეფიმოვს შორის ყაიმით (1:1) დამთავრდა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათსაშენი ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა კახა ჩიგოგიძემ დამატებითი ორპარტიიანი მინი-მატჩი მოიგო (2:0) და თასიც დაისაკუთრა.

II ადგილი ხვდა ეფიმოვს, III — ე. აფრიდონიძეს, რომელმაც მ. ქიპაშვილთან მატჩი ყაიმით (2:2) დაამთავრა, მაგრამ კენჭისყრაში ბედმა გაუღიმა.

ზემოდასახელებულთა გარდა საქართველოს თასის გათამაშებაში ჩაებმებიან თ. სულიაშვილი, დ. გედევანიშვილი, ვ. ვეფხვიშვილი, ე. კოტლიარევსკი და ს. კიკილაშვილი.

გუშინწინ მ. ჩიბურდანიძესა და ქ. ჩიგოგიძეს ჭადრაკში თბილისის თასები გადაეცათ.

გ. ფამილიანცი,
თბილისის თასის გათამაშების მთავარი მსაჯი.

სტარტზე — 50 მოჭადრაკე

გუშინ თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში სტარტი აიღო ჭადრაკში საქართველოს თასების გათამაშებამ.

ვაჟთა ტურნირში 32 მონაწილეა. პრიზისთვის იბრძოლებენ საერთაშორისო ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი, ოსტატები ა. ბოკუჩავა, ა. ბუსლაევი (სამივე — თბილისი), ჯ. ბერაძე (წყალტუბო), ოსტატობის კანდიდატები ქ. ჩიგოგიძე, ე. აფრიდონიძე (ორივე — თბილისი), მ. არჩვაძე (სამტრედია), გ. მუკნიაშვილი (გორი), ა. გიორგაძე (სოხუმი) და სხვ.

ქალთა შეჯიბრებაში 18 მონაწილეა, მათ შორის, საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი, ოსტატი თ. ხუგაშვილი, ოსტატობის კანდიდატები მ. ჩიბურდანიძე, ლ. კოროშინაძე, მ. წერეთელი, ნ. ხუბულური; პირველთანრიგოსნები ნ. გურიელი, ნ. მელაშვილი, ლ. გელიაშვილი (ყველა — თბილისი), ნ. ჯანჯღავა (ცხაკაია), ი. კლიმჩუკი (ქუთაისი)...

ტურნირები ოლიმპიური სისტემით გაიმართება. მეტოქეები ორ-ორ პარტიას ითამაშებენ. პარტიაში თითოეულ მეტოქეს პირველ 50 სვლაზე 2 საათი და 15 წუთი მიეცემა, მომდევნო 20 სვლაზე — 1 საათი. თუ ამ დროში პარტია არ დამთავრდა, მის შედეგს საგანგებო ჟიური ოსტატების მ. შიშოვისა და ა. ბლაგიძის ხელმძღვანელობით გადაწყვეტს. თუ მინი-მატჩი ყაიმით დასრულდება, მაშინ დამატებით შედგება ორი ელვისებური პარტია.

შეჯიბრება 2 მარტამდე გასტანს. ყოველი ტური 18 საათზე დაიწყება, გადადებული პარტიების დამთავრება კი 10 საათზე.

ც. ფცქიალაძე.

ინტერესით მონაწილეობენ

თბილისის ტაქომეტრიის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში გაერთიანებული ინჟინრები, ეკონომისტები, ტექნოლოგები და სხვა სპეციალისტები ინტერესით მონაწილეობენ დაწესებულების სპორტულ ცხოვრებაში. ამას ხელს უწყობს აქ ჩამოყალიბებული სექციები (ჭადრაკში, შაშში, ფეხბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ტურიზმში), აგრეთვე, შეჯიბრებები, მატჩები...

ამას წინათ დამთავრდა ბიუროს მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა, რომელშიც 8 ნაკრები (თითოეულში — 5 წევრი) მონაწილეობდა. შეჯიბრება კარგად იყო მოწყობილი (სექციის ხელმძღვანელი — უფროსი ინჟინერი-ელექტრიკოსი რ. ცერცვაძე). უძლიერესის სახელი № 5 განყოფილების გუნდმა მოიპოვა. II ადგილზე არიან № 15, III — № 6 განყოფილების მოჭადრაკეები.

გამარჯვებული გუნდები სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ციცო ერისთავი.

• • •

სურათზე: უფროსი ინჟინრის ნ. მოლაშვილისა (მარცხნივ) და ინგლისური ენის სპეციალისტის დ. ლალანიძის შეხვედრა.

ავტორის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

მაგიდას ორნი ვუსხედვართ. წყნარად ვფურცლავთ ძველ ალბომს, ყურადღებით ვათვალიერებთ გაყვითლებულ, კიდეშემოცვეთილ ფოტოსურათებს.

საინტერესო რამაა, საერთოდ, ეს ძველი სურათები. ვინ იცის, რამდენი რამეა მათთან დაკავშირებული, რა მოგონებებს აღუძრავენ ადამიანს. რაც მთავარია — გადაჰყავხარ შორეულ წარსულში, ახლოს სიჭაბუკესთან!

მაგრამ არც ისე იოლი საქმეა ხეირიანად გაარჩიო რამე ფოტოქაღალდზე, რომელიც აი, უკვე მეოთხედი საუკუნის ტოლია და, ამას გარდა, აშკარაა, რომ სულაც არაა მცოდნე კაცის, პროფესიული ფოტოგრაფის ნახელავი. გადაუღია მოყვარულს, ფოტოხელოვნების დილეტანტს, ძველისძველი ფედ-ით.

— სად იყო, ჩემო ბატონო, მაშინ ფოტოგრაფები სტადიონზე, — დინჯად მეუბნება თანამოსაუბრე. — ახლა ფეხბურთის მატჩზე ორივე კარს უკან ფოტორეპორტიორთა მთელი ჯგუფები დგას, იღებენ ყველაფერს, რაც მინდორზე ხდება, სურათიც სურათს ჰკავს.

მართლაც, რამდენი დაკარგა ქართული ფეხბურთის ისტორიამ იმის გამო, რომ არ გამოჩნდა მაშინ ერთი ვინმე ენთუზიასტი, ფოტოგალერეის შექმნისთვის თავი რომ მოება. ზოგიერთ ჩვენს გამოჩენილ ფეხბურთელს ისე აქვს თავი დანებებული თამაშისთვის, ერთი ხეირიანი სურათიც არ გააჩნია თავის შვილიშვილებს დაუმტკიცოს ასე და ასე ვთამაშობდიო ბურთს.

მაგრამ ცუდია თუ კარგი, ძიუ ლომაიას მაინც შემორჩა რამდენიმე სურათი. ძიუ ჩემი თანამოსაუბრეა. ეს მის ოჯახში ვართ და ვათვალიერებთ ალბომს. ნამდვილი სახელი თბილისის „სპარტაკის“ კაპიტნისა ვალერიანია, მაგრამ ეს სახელი პასპორტს არ გასცილებია. საფეხბურთო სამყაროშიც და მეგობართა წრეშიც მას ძიუს უწოდებენ.

დამაინტერესა სურათმა, რომელსაც აქ ვაქვეყნებთ „ლელოს“ მკითხველთათვის.

— 1950 წლის ამბავია. ლენინგრადშია გადაღებული, „დინამოს“ სტადიონზე. იქაურ დინამოელებს ვეთამაშებოდით. მაშინ ლენინგრადის „დინამო“ ძლიერი გუნდი იყო, მაგრამ ჩვენ თბილისში მას ანგარიშით 4:0 მოვუგეთ, ლენინგრადში კი ფრედ ვითამაშეთ — 0:0. მეორე პლანზე, შორს, ჩანან ივანე შუდრა, თემო გუგუნავა, ვიქტორ ბერეჟნოი, ავთანდილ პაიჭაძე, აჩიკო კილაძე. მე მინდვრის შუაში ვარ კენჭის საყრელად. ჩემს პირდაპირაა პეკა დემენტიევი (№ 8), ლენინგრადელთა კაპიტანი. პეკა ლეგენდარული ფეხბურთელი იყო, ვირტუოზი. მას დიდ პატივს ვცემდი. მახსოვს, პეკას ვუთხარი, კენჭისყრა რად გვინდა, რომელიც გნებავთ ის კარი აირჩიეთ-მეთქი. თავაზიანად უარი მითხრა, მსაჯმა კი, აღარ მახსოვს ვინ იყო, დამაჩქარა, ჯენტლმენობის დრო არააო ახლა.

ლომაია ხურავს ალბომს და იხსენებს იმ მატჩს, დეტალებს, შემდეგ მოგონებათა წრე თანდათან ფართოვდება... „გადავსახლდით“ 1949-51 წლებში, თვალწინ გვიდგას მაშინდელი თბილისის „სპარტაკი“ — ახალგაზრდული, მეგობრული, შესანიშნავი კოლექტივი. რა ბიჭები იყვნენ, როგორი სულისკვეთებით, აზარტით და ტემპერამენტით იბრძოდნენ, ძალას და ღონეს არ იშურებდნენ! მათი დევიზი



მეგობრული კოლექტივის კაპიტანი

ყველამ იცოდა: ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის.

თბილისის „სპარტაკმა“ სულ მოკლე ხანში მოიპოვა გულშემატკივართა საყოველთაო სიყვარული. არა მარტო შინ, სადაც მას ბევრი ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვებია, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, დონეცკის, კუიბიშევის სტადიონებზეც უყვარდათ სპარტაკელთა ლამაზი, ტემპიანი, ცოცხალი თამაში. ტაში მათ არსად დაჰკლებიათ.

სულ ორი წელი დაჰყო „სპარტაკმა“ უმაღლეს ლიგაში, მაგრამ თავისი კვალი მაინც დატოვა და ქართულ ფეხბურთს ბევრი სახელოვანი მოთამაშე აღუზარდა.

რატომ ვიხსენებთ ყოველივე ამას, რამ მიგვაჯაჭვა ძველ ალბომთან?

ძიუ ლომაია 50 წლისაა დღეს და ამ ასაკს რომ მიაღწევს კაცი, გინდა-არ გინდა, ახალგაზრდობის ჟამს უბრუნდები გონების თვალით.

და აი, იხსენებს ვეტერანი: ცხაკაია, 30-ანი წლები, ბურთი, ბურთი, ბურთი. ტოლბიჭებთან თამაში ჯერ ეზოებსა და შუკებში, მერე სტადიონზე, ნამდვილ მინდორზე. ვინ გიშლიდა თამაშს, ოღონდ ბურთი გქონოდა! ძიუ მადლიერების გრძნობით იხსენებს ცხაკაიელი ბიჭების დიდ ქომაგსა და მეგობარს, ისტორიის მასწავლებელს ძ. ჩიქობავას, გორკის სახელობის საშუალო სკოლის დირექტორს ე. კორძაიას, მასწავლებლებს ს. გოგინავას, ს. ხოფერიას, რომლებიც ყოველნაირად ხელს უწყობდნენ ბავშვებში ფეხბურთის დანერგვასა და გავრცელებას.

ბავშვური გატაცება თანდათან გადაიზარდა ნამდვილ სპორტულ მისწრაფებაში, შეიქმნა სტაბილური გუნდი, რომელიც სათამაშოდ დადიოდა მეზობელ ქალაქებში — ფოთში, მახარაძეში, ზუგდიდში, ზესტაფონში...

შემდეგ — ომის წლები. ძიუ უფროსმა ძმამ წამოიყვანა თბილისში. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაიწყო სწავლა.

ფეხბურთისთვის ვის ეცალა მაშინ, მაგრამ მოიხელთებდა თუ არა ცოტაოდენ დროს, მიდიოდა „დინამოს“ სტადიონზე, გაერეოდა მოვარჯიშეებში, გულშემატკივრებში. ერთხელ ასე აღმოჩნდა სტადიონზე. ვიღაცეები თამაშობდნენ ორ გოლს, ხალხი აკლდათ და ლომაიასაც სთხოვეს ეთამაშა. ეს „ვიღაცეები“ ლოკომოტიველები აღმოჩნდნენ — გ. ქურციკიძე, ა. დოროხოვი, ვ. ხაჭაპურიძე, თ. ლითანიშვილი, გ. ბოგატელო, ი. ყაზაზიშვილი, ბ. ვორონოვი, ს. სიხარულიძე, შ. ჯიბლაძე, ბ. ნარსია, პ. მასხარაშვილი... ლომაიას თამაში ყველას მოეწონა და ასე აღმოჩნდა იგი თბილისის „ლოკომოტივში“, რომელმაც 1949 წლამდე იარსება. შემდეგ თბილისის „ლოკომოტივისა“ და კიდევ ერთი გუნდის ბაზაზე შეიქმნა „სპარტაკი“, რომლის ხანმოკლე, მაგრამ მდიდარი ისტორია ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ.

1949 წელს თბილისის „სპარტაკმა“ ა. ჟორდანიას ხელმძღვანელობით საუცხოოდ ჩაატარა სეზონი „ბ“ კლასში, მიიღო ფინალურ გათამაშებაში მონაწილეობის უფლება ოდესის „პიშჩევიკთან“ და კალინინგრადის გუნდთან ერთად. სამთა ტურნირი დონის როსტოვში ჩატარდა და თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა. საინტერესოა, რომ გადამწყვეტი მატჩი კალინინგრადელებთან, რომელიც უშუალოდ უმაღლესი ლიგის საგზურს იძლეოდა, სპარტაკელებმა მოიგეს ანგარიშით 1:0 და ეს ერთადერთი „ოქროს გოლი“ სწორედ ლომაიამ გაიტანა მატჩის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე. თვითონ იგი ასე იხსენებს ამ გოლს:

— თამაში თავდებოდა, ჩემო ბატონო, გოლი კი არ ჩანდა. ერთ მომენტში თვალი მოვკარი, რომ მეკარე წინ იყო გამოსული და შორიდან დავარტყი. ალბათ, შემთხვევით გამომივიდა, მაგრამ ბურთი კი ბადეში აღმოჩნდა.

შემთხვევით! ძნელია ფეხბურთში დარწმუნებით თქვა რაა შემთხვევითი და რა — კანონზომიერი, მაგრამ ჩვენ კარგად გვახსოვს ლომაიას მოულოდნელი, ზუსტი და ძლიერი, ეშმაკურად დარტყმული ბურთები შორიდან... არც ერთი არ იყო შემთხვევითი და რაღა ეს გადამწყვეტი, ყველაზე საჭირო გოლი უნდა მივაკუთვნოთ ასეთ კატეგორიას? უბრალოდ, ძიუს არ სურს საგანგებოდ გამოიჩინოს თავი, ხაზი გაუსვას იმ დეტალს, რომელიც 24 წლის წინ მოხდა როსტოვის სტადიონზე და რომელმაც გამარჯვებით დააგვირგვინა მისი მეგობრების თავგამოდებული, კოლექტიური შრომა. „სპარტაკში“ ასეთი წესი იყო — არავინ ცდილობდა საგანგებოდ გამოეჩინა საკუთარი თავი, მით უმეტეს — მისი კაპიტანი...

... ლომაია ახლაც თამაშობს ფეხბურთს. რა თქმა უნდა, არა 50 წლის ძიუ, არამედ მისი 18 წლის ვაჟი გია. გვინდა ისიც ერთგული, თავაზიანი და კაცური კაცი გამოვიდეს. თანაც მასაც გაეტანოს, მამის მსგავსად, გადამწყვეტი, „ოქროს გოლი“.

ბ. ქორქია.

სად იყო დანაპირები ნოკაუტი?

14 თებერვალს ამერიკის ქალაქ ლას-ვეგასში (ნევადის შტატი) ერთმანეთს შეხვდნენ მძიმე წონის პროფესიულ მოკრივეთა შორის მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მუჰამედ ალი (აშშ) და ევროპის ჩემპიონი ჯო ბუგნერი (ინგლისი). როგორც პროფესიულ რინგს სჩვევია, ამ ორთაბრძოლასაც დიდი აჟიოტაჟი უძღოდა წინ. მუჰამედ ალი არც ამჯერად იჩენდა მაინცდამაინც დიდ რიდსა და საქვეყნოდ ტრაბახობდა: შვიდ რაუნდზე მეტი არ დამჭირდება ბუგნერთან ანგარიშის გასასწორებლადო... ჟურნალისტებმა ალის ენაწყლიანობით პირდაპირ გაიხარეს.

სამაგიეროდ, ჟურნალისტებმა ბუგნერს „ვერაფერი მოუხერხეს“: ინგლისელს თითქოს ბოქლომი ედო პირზე—კრინტს არ სძრავდა. ერთადერთი, რაც მას ჟურნალისტებმა ამოქაჩეს, ეს სიტყვები იყო: „ალისთან ბრძოლა ჩემი დიდი ხნის ოცნებაა“.

22 წლის ინგლისელი მოკრივე ჯ. ბუგნერი სპეციალისტების აზრით ალის თავის არაჩვეულებრივ ფიზიკურ გამძლეობასა და დარტყმების ატანის საოცარ უნარს თუ დაუპირისპირებდა. ასეც მოხდა — ეს რეპუტაცია ინგლისელმა ჩემპიონმა ლას-ვეგასის რინგზე ერთხელ კიდევ დაამტკიცა: თორმეტივე რაუნდს გაუძლო. ორთაბრძოლა ალის აშკარა უპირატესობით წარიმართა, თუმცა იგი მხოლოდ ქულებით გამარჯვებას დასჯერდა.

• • •

სურათზე: მუჰამედ ალი თავის ოთხი წლის გოგონა მერიამთან ერთად ჩერი ჰილში მდებარე საკუთარ სახლში.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

პატარა ჩოგნის დიდოსტატები

გებლინგენი (გფრ). აქ დიდი ინტერესი გამოიწვია მაგიდის ჩოგბურთში ევროპის უძლიერესი ოსტატების საერთაშორისო ტურნირმა. მონაწილეთა შორის იყვნენ მოსკოველი სპორტსმენები — ევროპის ჩემპიონი ზ. რუდნოვა და სსრ კავშირის ჩემპიონი ს. გომოზკოვი.

ვაჟთა შორის ყველას აჯობა ს. ბენგტსონმა (შვეცია). ფინალის გზაზე ამ 20 წლის სპორტსმენმა ცხრა გამარჯვება იზეიმა, მათ შორის, ანგარიშით 3:0 სძლია გომოზკოვს, რომელმაც 12 კაცში საბოლოოდ X ადგილი დაიკავა. II ადგილზეა დ. შურბეკი, ხოლო III — ა. სტიპანჩიჩი (ორივე — იუგოსლავია).

ქალთა შორის გაიმარჯვა ბ. კიშაზიმ (უნგრეთი). II ადგილზეც უნგრელი ი. მაგოში გავიდა. III ადგილზეა ი. ვოშტოვა (ჩეხოსლოვაკია), რომელმაც ანგარიშით 3:1 მოუგო ბ. რადბერგს (შვეცია).

რუდნოვამ შვიდი შეხვედრა მოიგო და IV ადგილი დაიკავა.

„სპორტლოტოს“ მოყვარულთა საყურადღებოდ!

„სპორტლოტოს“ მე-5 ტირაჟში (ბაქო, 20 თებერვალი) იღბლიანი აღმოჩნდა შემდეგი ნომრები: 10 (საბუერო სპორტი), 15 (წყალბურთი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 24 (სათხილამურო სპორტი), 38 (მშვილდოსნობა) და 49 (შაში).

მორიგი, მე-6 ტირაჟი მოეწყობა 28 თებერვალს ვოლოგდაში. „სპორტლოტოს“ მოყვარულთ შევახსენებთ, რომ „სპორტლოტოს“ ბარათების „Б“ და „В“ ნაწილების ყუთებში ჩაშვების უკანასკნელი ვადაა 26 თებერვალი (18 საათამდე), ხოლო დაგვიანებულთათვის 27 თებერვალს 14 საათამდე იმუშავებს მეტროს „ლენინის მოედნისა“ და „მარჯანიშვილის“ სადგურებთან ახლომდებარე „სოიუზპეჩატის“ ჯიხურების მორიგე ყუთები.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდის წევრი

ამირან იოსების ძე

სიხაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 11297